F567 ✓3288

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოთა სპორტი

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-10 წელი

№ 10 (147)

ივნისი, 1966 წელი



1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა.

დღეს საქართველოს ქალაქებში

ვიეტნამის შეკვეთა — ვადამდე

ცვლა მთავრდებოდა, როცა თბილისის ქარხანა „აქატის“ უბნების ოსტატები და უფროსები მთავარ ინჟინერთან გამოიძახეს.

— სასწრაფო შეკვეთაა ვიეტნამისათვის,—თქვა გაიოზ მგალობლიშვილმა, — დონეცკის ფრუნზეს სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას დამატებით აწვდის ლითონსაჭრელი ჩარხების პარტიას. ამ ჩარხებს ესაჭიროებათ ჩვენი სასიგნალო აპარატურა.

ქარხანაში მდგომარეობა დაძაბული იყო. იმ დროს საამწყობო უბანი ასრულებდა პასუხსაგებ შეკვეთას კუბისათვის. გარდა ამისა საწარმოს შემკვეთია მსოფლიოს 50 ქვეყანა.

დიდხანს მსჯელობდნენ საკითხზე, თუ როგორ შეესრულებინათ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ზეგეგმითი შეკვეთა. კოლექტივმა ვალდებულება იკისრა: ვადამდე სამი დღით ადრე შეასრულოს დავალება.

თბილისის პლასტმასის ქარხანამ რიგგარეშე გამოუშვა აპარატურის კორპუსები. ქარხანა „აქატის“ ყველა საამქრო აქტიურად ჩაება დავალების შესრულების საქმეში.

საუკეთესო ამწყობნი ნუნუ ჩიჩუა, ლია მღებრიშვილი, ნელი გოშაძე და სხვები ძალღონის დაუშურებლად მუშაობდნენ. მოძმე ვიეტნამის შეკვეთა ვადამდე სამი დღით ადრე შესრულდა.

მუშები ხდებიან ინჟინრები

ტყიბული. მაგიდაზე დევს სადიპლომო ნაშრომი დონბასის შახტებში ციცაბო დაქანებული ფენების დამუშავების პროექტის შესახებ. ამ ნაშრომის საუკეთესოდ დაცვისათვის ტყიბულქვანახშირის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის შახტის ცვლის უფროსმა ი. გოგელაშვილმა მიიღო სამთო ინჟინრის დიპლომი. 4 წელს მუშაობდა იგი დონბასში კალინინის სახელობის შახტის ზეინკლად. შემდეგ კი მუშაობდა ტყვარჩელსა და ტყიბულში.

მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება, რაც მან შახტებში მუშაობის პერიოდში დააგროვა, უხვად გამოიყენა სადიპლომო ნაშრომში. სწავლობდა წარმოებას მოუწყვეტლივ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და იმაღლებდა რა პროფესიულ ცოდნას, უბრალო რიგითი მეშახტე გაიზარდა წარმოების მეთაურად. ცვლა, რომელსაც ი. გოგელაშვილი მეთაურობს, ერთ-ერთი მოწინავეა შახტში. იგი არის ერთ-ერთი ინიციატორი ამ შახტში, რომ დონბასელთა მაგალითისამებრ სადღეღამისო კომპლექსური ბრიგადული სისტემა დაენერგათ.

წარმოებას მოუწყვეტლივ სამასზე მეტი მუშა ღებულობს უმაღლეს განათლებას.



ჰიათურა — მარგანეცის ქალაქი.

მათემატიკა და... ლექსმცოდნეობა

თბილისში გაიმართა უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების მეორე სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის პრობლემებს მიეძღვნა. კონფერენციამ ერთ კვირას გასტანა. იგი მოიწვია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის კათედრამ. კონფერენციაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, რიგის, გორკის, ვორონეჟის, უფის უმაღლეს სასწავლებელთა წარმომადგენლები.

ლინგვისტებთან ერთად კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ფილოსოფოსები, ლიტერატურათმცოდნეები, კიბერნეტიკოსები, ელექტრონული მანქანების სპეციალისტები.

თავიანთ მოხსენებებში სტუდენტები შეეხნენ ისეთ პრობლემებს, როგორიც არის ხელოვნური ენების შექმნა კიბერნეტიკული მანქანებისათვის. მათემატიკური და სტრუქტურული მეთოდების გამოყენება აბსტრაქტული მოდელების აგებაში, რომლებიც კონკრეტული ენების სტრუქტურულ თავისებურებებს ასახავენ, ენის ბგერითი სისტემის ექსპერიმენტული შესწავლა. ზოგიერთი მოხსენება მიეძღვნა ლექსმცოდნეობის ამოცანების გადაწყვეტისა და ცალკეული ავტორების სტილის ანალიზის დროს მათემატიკური მეთოდების გამოყენების საკითხებს.

კულტურული მშენებლობა სოფლად

ცხინვალი. სამხრეთ ოსეთში სახელგანთქმულია ზნაურის რაიონის სოფელ ავნევის დ. გურამიშვილის სახელობის კოლმეურნეობა. მილიონობით შემოსავალი მოაქვს კოლმეურნეობისათვის ბაღებს, ვენახებს, მეცხოველეობის ფერმებს. სოფელში აშენდა 70-ზე მეტი კარგი საცხოვრებელი სახლი. ცენტრში კი შენდება კულტურის სახლი, რომლის მაყურებელთა დარბაზი 950 კაცს დაიტევს. კულტურის სახლის მახლობლად აშენდება ორსართულიანი საშუალო სკოლა, საკოლმეურნეო საავადმყოფო. ფერმის მუშაკებისათვის აგებულია მეცხოველის სახლი.

კოლმეურნეებმა უკვე დაამტკიცეს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის 5-წლიანი გეგმა. იგი ითვალისწინებს 20 დიდი შენობის აგებას. ახლა საძირკველი ეყრება ახალი ხუთწლედის პირველ მრავალსართულიან სახლს, რომელშიც იქნება არტელის გამგეობა, სასოფლო-საბჭო, ბიბლიოთეკა. შენდება მექანიზატორის სახლი, მაღაზია, დიდი სათბური და სტადიონი.

მაღაროელთა მეგობრობა

ამ დღეებში ჰიათურაში მოვიდა ჩეხი მაღაროელების წერილი, რომელშიც იტყობინებიან, თუ რა დახმარებას უწევენ მათ ქართველი მაღაროელები.

— ჩვენი ქვეყნის სამთო მრეწველობაში, — წერენ ისინი, — წარმატებით ვიყენებთ თქვენს მდიდარ გამოცდილებას. დიდი საწარმოო ეფექტი მოგვცა ორ სანგრევში ჯგუფური აფეთქების ახალმა ტექნოლოგიამ, რომელიც თქვენგან გადმოვიღეთ. და ამ მეთოდით მნიშვნელოვნად დავაჩქარეთ მაღაროების გაყვანა და მოსამზადებელი სამუშაოების ტემპი. თქვენ დიდი დახმარება გაგვიწიეთ პერფორატორული ბურღვისა და ქვანახშირის სკრეპერებით გამოზიდვის წესის დანერგვაში.

მჭიდრო საწარმოო მეგობრობაა დამყარებული ქართველ და ჩეხ მაღაროელებს შორის. ისინი სისტემატურად ატყობინებენ ერთმანეთს თავიანთ წარმატებებს, უზიარებენ მოწინავე გამოცდილებას. ამას წინათ ჰიათურელ მაღაროელთა დიდმა ჯგუფმა — ტურისტული საგზურით იმოგზაურა ჩეხოსლოვაკიაში. ისინი აქ გაეცნენ შახტების მუშაობას, გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება ჩეხ მაღაროელებს.

გირმული სურათები

საქართველოს რადიოთი პირველად შესრულდა სახალხო არტისტის შ. მშველიძის სიმფონიური ნაწარმოები „ბირმული სურათები“. სამი წლის განმავლობაში კომპოზიტორი სწავლობდა ბირმის ხალხთა მუსიკალურ ფოლკლორს, რომელმაც „წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მასზე თავისი სიმდიდრითა და თავისთავადობით“.

„ბირმული სურათები“ სამი ნაწილისაგან შედგება: „ბირმის დაბლობებში“, „კარენის ქალთა ცეკვა“ და „დიდ მღვიმესთან“. ყოველ ნაწილში გამოყენებულია ბირმის სამი პროვინციის ხალხური მოტივები და რიტმები. მუსიკა ყურადღებას იპყრობს მელოდიურობით, ემოციურობითა და ხატოვანებით.

შ. მშველიძეს „ბირმული სურათები“ თავის ერთ-ერთ საყვარელ ქმნილებად მიაჩნია.

— მე ყოველწაირად ვცდილობდი დამეცვა ბირმული მუსიკის თავისთავადი კოლორიტი, — უთხრა გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტს შ. მშველიძემ. — ნაწარმოებზე მუშაობის დროს გავეცანი აგრეთვე ბირმის ხალხურ პოეზიასა და ლიტერატურას. ამან დიდად განსაზღვრა ჩემი თხზულების ხასიათი.

„ბირმული სურათები“ ფირზე ჩაწერა მოსკოვის რადიოსა და ტელევიზიის დიდმა სიმფონიურმა ორკესტრმა ი. ჟურაიტისის დირიჟორობით. ეს ნაწარმოები შესრულდა მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზსა და კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში.

ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოები, რომელიც საბჭოთა კავშირისა და ბირმის ხალხთა მეგობრობას ეძღვნება, პოპულარული გახდა ბირმელ მსმენელთა შორისაც.



სურათზე: სიმღერისა და ყვავილების დღესასწაული ჭალაჭ ჭუთაისში.

ჩვენი სტუმრები

სასარგებლო ვიზიტი

ტრადიციული მეაბრეშუმეობის ქვეყნის — იაპონიის წარმომადგენლები ერთი კვირის მანძილზე ეცნობოდნენ საქართველოს სახალხო მეურნეობის ამ დარგის მდგომარეობას. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ იაპონიის მიწათმოქმედებისა და მეტყევეობის სამინისტროს აბრეშუმის ნართის წარმოების დეპარტამენტის ტექნიკის სრულყოფის განყოფილების უფროსი ისაო ნიკი. მიაზაკიხარის მეაბრეშუმეობის საცდელი სადგურის ლაბორატორიის უფროსი ცუნზო კუვანო და იაპონიის მიწათმოქმედებისა და მეტყევეობის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი ტადაში კობაიაში. საბჭოთა კავშირში დელეგაცია იმყოფება სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოწვევით.

იაპონელ მეაბრეშუმეებს საქართველოს მეაბრეშუმეობის ისტორია, საბჭოთა ხელისუფლების წლებში მეაბრეშუმეობის წარმატებანი, ახლანდელ ხუთწლედში ამ დარგის პერსპექტივები გააცნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეაბრეშუმეობის სამმართველოს უფროსმა ა. არეშიძემ, რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს აბრეშუმის მრეწველობის სამმართველოს უფროსის მოადგილემ რ. გირდალაძემ და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეაბრეშუმეობის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ ვ. ლობჟანიძემ.

იაპონელი კოლეგები დიდად დაინტერესა საქართველოს მეაბრეშუმეობის მუზეუმის ექსპონატებმა. მათ აღნიშნეს, რომ ექსპონატების რაოდენობით ეს მუზეუმი სამართლიანად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მსოფლიოში მეორე მუზეუმად ლიონის (საფრანგეთი) მუზეუმის შემდეგ.

კახეთში დელეგაცია იყო სიღნაღის რაიონის სოფლების ძველი ანაგის, ბოდბისხევის, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობებში. აქ დელეგაციამ დაათვალიერა „საქართველოს“ ჯიშის თუთის ხეების პლანტაციები, რომლებიც 25-50 ჰექტარზეა გაშენებული. დელეგაციის მეთაურმა ისაო ნიკიმ აღნიშნა, რომ იაპონიას არა აქვს პლანტაციების დიდი მასივები, და რომ ასეთი პლანტაციების შექმნა გააიაფებდა აბრეშუმის წარმოებას.

— იაპონიას მეაბრეშუმეობის მრავალსაუკუნოვანი კულტურა აქვს, — თქვა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში ისაო ნიკიმ, — მაგრამ საქართველოში ჩვენ ბევრი ისეთი რამ ვნახეთ, რამაც ჩანაწერებით აგვავსებინა ბლოკნოტები. უდავოა, რომ ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება სასარგებლოა ორივე ჩვენი ქვეყნისათვის.

საქართველო—ბომბეი

საქართველოში ხუთ დღეს იყო ინდოეთის (ბომბეის) ტექნოლოგიური ინსტიტუტის დელეგაცია ინსტიტუტის დირექტორის ს. კ. ბოსის მეთაურობით. თქვენს ქვეყანაში, თქვა მან, დიდი მუშაობა მიმდინარეობს ინდუსტრიის განვითარებისათვის, ამიტომ ჩვენთვის მეტად ძვირფასია სპეციალისტთა კადრების მომზადების საბჭოური გამოცდილება.

ს. კ. ბოსი ჩვენს რესპუბლიკაში პირველად როდია. საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მას ბევრი მეგობარი ყავს. ინდოეთის ინსტიტუტში მთელი რიგი წლების განმავლობაში პედაგოგიურ მუშაობას ეწოდნენ ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი პროფესორი თ. ნ. ლოლაძე და დოცენტი ჯ. ვ. ცოცხაძე. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტურაში ახლა სწავლობს ბომბეის ინსტიტუტის კურსდამთავრებული ჩანდრაშაკარი.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ი. მ. ბუაჩიძემ ინდოელ კოლეგებს გააცნო დაუსწრებელი და საღამოს სწავლების სისტემა, სამეცნიერო-საკვლევი მუშაობა. მან კმაყოფილება გამოთქვა, რომ ვითარდება საქართველოს პოლიტექნიკური და ინდოეთის ტექნოლოგიური ინსტიტუტების კავშირი.

ინდოელი მეცნიერები გაემგზავრნენ ტყიბულში, სადაც გაეცვნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის საქმიანობას. 300-ზე მეტი ტყიბულელი მეშახტე იღებს უმაღლეს განათლებას საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

ჩვენი ინსტიტუტი, გაანაცხადა თბილისიდან გამგზავრების წინ ს. კ. ბოსმა, შეიქმნა რვა წლის წინათ. უსაზღვროდ მადლობელი ვართ ქართველი მეგობრებისა იმ ძმური დახმარებისათვის, რომელსაც მუდამ ვგრძნობთ ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში.



შოთა რუსთაველი თამარ მეფეს მიართმევს „ვეფხისტყაოსანს“. მხატვარია მ. ზიჩი.

გამოცხადებულია კონკურსი

დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავთან და თბილისში მისი სახელობის მოედნის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება ქალაქ თბილისში პოეტის ახალი ძეგლის პროექტისათვის ღია კონკურსის მოწყობის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს გამოავლინოს შოთა რუსთაველის ძეგლის საუკეთესო პროექტი.

ლაპარაკობენ გოეთეს თანამემამულენი

ევროპული რენესანსის ეპოქა საქართველოში შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნით“ იწყება. — ასეთი აზრი გამოთქვა ასი წლის წინათ გერმანელმა მეცნიერმა პროფესორმა გ. ბროკჰაუზმა. იგი „ვეფხისტყაოსანს“ იმ ეპოქის საუკეთესო ნაწარმოებად თვლიდა. მისი აზრით, დასავლეთში ვერ დაასახელებენ ამ პოემის შექმნის პერიოდის რომელიმე ნაწარმოებს, რომელიც მასშტაბით მისი ბადალი იყოს (ბროკჰაუზისათვის ქართული ლიტერატურის შესწავლის წყარო იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის გ. ჩუბინაშვილის ქრესტომათია. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს შრომა ახლა ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა.

ბროკჰაუზის ჰიპოთეზა შემდეგ (1937 წელს) უფრო დაწვრილებით ჩამოაყალიბა რ. მილერ-გუდნიცკიამ, რომელმაც რუსთაველის შემოქმედება განიხილა შუა საუკუნეების მსოფლიო ლიტერატურულ მოვლენათა ფონზე. შუა საუკუნეების ევროპის შავბნელ ხანაში ერთადერთ ნათელ სხივად მიაჩნია „ვეფხისტყაოსანი“.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა შოთა რევიშვილმა, რომელიც ორ წელიწადს სწავლობდა გერმანელ ავტორთა რუსთაველისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებს, შექმნა მეცნიერული შრომა „გოეთეს თანამემამულენი რუსთაველის შესახებ“.

გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტთან საუბარში შ. რევიშვილმა თქვა:

— გოეთეს თანამემამულენი უკვე XVIII საუკუნის დამლევიდან დაინტერესა ქართულმა ლიტერატურამ. ფრანც ფინკლი და ოტო ჰაუზერი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში პირველად შეეხნენ რუსთაველის საკითხს. XIX საუკუნის შუა ხანებში რომანისტი ფრიდრიხ ბოდენშტედტი, მოგზაურები მაქს პროსკოვეცი და გოტფრიდ მერცბახერი ადრეთვე მაღალ შეფასებას აძლევდნენ „ვეფხისტყაოსანს“, ქართულ ლიტერატურას, საქართველოს ისტორიასა და უძველეს კულტურას საერთოდ.

დიდია არტურ ლაისტისა და ლაიფციგის უნივერსიტეტის პროფესორის ფელიქს ჰოლდეკის, რ. ბლაინშტაინერისა და ჩვენი თანამედროვის ჰ. ჰუპერტის — „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე მთარგმნელის დამსახურება რუსთაველის შემოქმედების კვლევის დარგში.

რუსთაველის შემოქმედებას უძღვნიან სპეციალურ სტატიებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, შვეიცარიის და ავსტრიის ლიტერატურულ ენციკლოპედიათა და ცნობართა შემდგენელნი.



ИОСЕБ НОНЕШВИЛИ

დედაო, საქართველოვ!..

სამშობლოს

დედაო, საქართველოვ,
ჩვენო ეზო-კარო,
დაწმენდილო არაგვო,
ამღვრეულო მტკვარო;
ალაზანო, შენი ხმა,
ჰალას ძლივს რომ ესმის,
ყვირილაო, მყვირალო
იმერეთის მთებში,
ჭუჩო ჩუმო, უჩინოვ,
კლდის ლიბო რომ გმალავს
და კლდის თავზე ბერმუხავ
ქედმაღალო მარად;
შენ არდენო, მბრუნავო
მწვერვალებზე მაღლა
და ძირს, მინდვრის ხაოში
განაბულო ღალღავ;
უშიშარო არწივო,
მეხთან შენაბრძოლო
და ფერდობზე ბარდებში
გულმშიშარა გნოლო;
ვარძიაში თამარის
წყაროვ, წყნარზე წყნარო
და შენ, პალიასტომის
ზვირთო, დაუმცხრალო;
ძველო ნოქალაქევო,
ნისლს ახლაც რომ იხვევ,
ჩვენო ახალქალაქო,
ჩვენო ახალციხევ,
ძველო დიოსკურიავ,
ზღვადაღვრილო გულზე
და ახალო რუსთავო
მზეს ლაღად რომ უმზერ;
ზღვისპირეთში ზამთარშიც
გაზაფხულის დარო,
თიბათვეში თეთნულდზე
თოვლო დაუმდნარო;
ნარიყალის ბურჯებზე
მოდებულო ხავსო
და ახალო თბილისო
შუქურ-ბაღის მსგავსო;
დედაო, საქართველოვ, ახალო და ძველო,
შენი წინსვლისა იყოს,
შენი სადღეგრძელო!

გვიყვარს... როგორ არ გვიყვარდეს

რომ შესძლებოდა, დუშმანი
ძირფესვიანად მოგვთხრიდა,
მაგრამ მტერს მტრულად ხვდებოდა
ძველი ქართლი და კოლხიდა.
არც მეფე თამარს, არც დავითს
არ ჩაუგიათ მახვილი,
ხმალამოწვდილი მისდევდნენ
მომხდურს „ჰკა მაგას“ ძახილით.
სიკვდილი ჰქროდა ველებზე,
ნასახლარს ხავსი ჰფარავდა,
პატარა კახი ერეკლეც
ბრძოლებში გაჭაღარავდა.
მაგრამ ჩვენც საქმედ ვაქციეთ
ერთობის ბრძნული იგავი:
ერთად რომ ამოვისუნთქოთ,
ამოვარდება გრიგალი,
მტერს შინაურს და გარეულს
ჩვენც ვაქცაცურად დავკარით
და ჩვენს გულზეც და დროშაზეც
გაბრწყინდა შუქურ-ვარსკვლავი.
მარჯვნივ შავი ზღვა ლივლივებს,
მარცხნივ ამაყი მთებია.
ზღვა და ხმელეთი სიტურფით
ერთმანეთს შესჯიბრებიან.
გვიყვარს... როგორ არ გვიყვარდეს
სამშობლო ხმელეთ-ზურმუხტი,
მზიანი,
ბარაქიანი,
სტუმართმოყვარე,
გულუხვი.
სამშობლო ამირანისა,
ედემის ბაღად ქცებული,
მონობას, სხვისგან დაჩაგრას
არასდროს შერიგებული.
საგულეს გული ჩაგვიდგა,
თვალში აგვინთო სინათლე...
მაშ, საქართველოს სურათზე
ნამუსის სანთლად ვბრწყინავდეთ.
არ გვყვარებია, არც გვიყვარს,
არ გვდომებია, არც გვინდა
ჩვენს დედა საქართველოზე
სხვა საყვარელი, სხვა წმინდა.
ჩვენი ხმა, ჩვენი გუგუნი
დაე, ისმოდეს ყველგანა,
არა სთქვან, რომ საქართველო
არის პატარა ქვეყანა!

ეს გული შენი გულით ხალისობს

დედავ — სიცოცხლის დიდო საწყისო,
დედავ — ცხოვრების ფუძევ მაგარო,
ეს გული შენი გულით ხალისობს,
შენი თვალებით ვხედავ სამყაროს.
ჩემს აკვანს, ფერად ღილკილებიანს,
შენ დამღეროდი „ნანას“, „მზე შინას“.
რამდენი ღამე არ გძინებია,
რომ ჩემთვის ძილი გესწავლებინა.
შენ ჩემი ხელი ხელში გეჭირა,
არ მშორდებოდი წუთით, საათით,
რომ სიარული გესწავლებინა,
შენც დადიოდი ჩემთან ტაატით.
მე შენი წმინდა შუქი მეფინა,
შენსკენ მოვრბოდი ხელებგაშლილი,
რომ ლაპარაკი გესწავლებინა,
შენც ტიტინებდი ჩემთან ბავშვივით.
დედავ, ვიყავით თითქოს ტოლები,
თითქოს ფიქრები გვქონდა საერთო,
შენც ჩემს გაკვეთილს იმეორებდი,
რომ ჩემში ცოდნის შუქი აგენთო.
თურმე რამდენჯერ ავად გავმხდარვარ,
რამდენჯერ სენმა ხელი დამრია,
დედავ, იმდენჯერ ბღუჯა ჭაღარა,
თმებში ჭაღარა შემოგპარვია.
როცა მაცნობდი წარსულს დარდიანს,
შენს ხმაში კრთოდა სევდა ფარული.
შენ შემაყვარე, დედავ, ნამდვილად
ჩემი ქვეყანა, ჩემი მამული.
ახლაც შენა ხარ ჩემი კანდელი,
სიცოცხლის დიდი გასხივოსნება.
შენ შემაყვარე დღე დღევანდელი,
ხვალინდელ დღეზე ტკბილი ოცნება.
შენ დამილოცე ქვეყნად კაცობა,
თავზე ნამუსის ქუდი დამხურე.
სულ შენ გეკუთვნის თუ რამ მადლობა
და სიყვარული დავიმსახურე.
დედავ — სიცოცხლის ტკბილო საწყისო,
დედავ — ცხოვრების ბურჯო მაგარო,
ეს გული შენი გულით ხალისობს,
შენი თვალებით ვხედავ სამყაროს.

გევრი იარა თუ ცოტა იარა

გევრი იარა თუ
ცოტა იარა,
ლამის დედამიწა
შემოიარა.
რამდენი გილიკი,
რამდენი გზაშარა,
რომი და გერლინი,
პრაღა და ვარშავა.
ხან მუსონს გაასწრო,
ჭარიშხლად მოგერილს,
ვენა და ტირანა,
დელი და გომბეი...
ხან ცხელი სამუში
გასჭრა და გაფლითა, —
ჩაფრინდა გეირუთს,
დამასკოს ჩაფრინდა.
როცა მიდიოდა
მუოგლიურ მთებიდან,
როგორც ავგაროზი
ზედ გულზე ეკიდა
მიწა თბილისისა,
თბილი და გრძნეული,
დედის თავმანდილში
ფრთხილად გახვეული.
და სძულდა ანდაზა,
რომ სადაც მიხვიდე,
ქუდიც იქაური
იყიდე...
ქართულ ქუდს არასდროს
იხდიდა თავიდან,
პარიზს და ვაშინგტონს
ამ ქუდით ჩავიდა.
და სადაც მივიდა,
და სადაც შეჩერდა,
ქართლთან თუ კახეთთან
მსგავსებას ეძებდა.
და სადაც ოცნების
აფრები გაშალა,
ეგონა უხვრეტდა
რაჰას თუ აჰარას.
მზე სწვავდა გაბანა
თუ ცივად აწვიმდა,
სულ თვალწინ სახატედ
ეხატა მთაწმინდა.
როდესაც გაუდგა
კვალს ჰომიროსისას
და აპოლონიის
ნანგრევიც მოსინჯა,
ელინის მიწაზე,
ერთ დროს რომ ლაღობდა,
რუსთველის გუგუნი
ჩაესმა რატომღაც.
და ტიურინგიის
ატეხილ ტყის პირას,
როდესაც გოეთეს
სასახლე იხილა,
ყვარელს და ვაიმარს
თუმც ერთად რა უნდა
და მაინც თვალდათვალ
ილია დაუდგა.
გევრი იარა თუ
ცოტა იარა,
თითქმის დედამიწა
შემოიარა...
და თუ იძ, სხვა ცისქვეშ,
შორეულ მხარეში,
უცხო რამ ჩაენთო
გულშიც და თვალებშიც,
უცხო რამ, რაც მგონის
ხსოვნაში დარჩება.
უცხო რამ, რაც ფლებით
არ დაიჩაგრება,
უცხო რამ უთქმელად
გულს რომ არ ეთმობა, —
ამ წიგნში შეკინძა,
ამ წიგნში შეკონა,
ამ წიგნში აასხა
ლეჭსების ჯაგნებად...
და სულზეუტკბესო,
ქვეყანავ მშობელო,
ქართულო ქალაქო,
ქართულო სოფელო,
მთა-ბარო,
ყვავილთა
ჩანჩქერით ნაბანო,
სამყაროს გვირგვინში
ჩასმულო ალმასად,
ეს გული, ეს წიგნი,
ეს ლეჭსთა ჯაგანი
მიიღე —
მუხლმოყრით
შენ შემოგთავაზა!

მოგრძანდით, გველით

საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის გავრცელებული ფორმაა უცხოელი ტურისტების ჩამოსვლა საქართველოში. მარტო შარშან ჩვენს რესპუბლიკას ეწვია 30 ათასამდე უცხოელი სტუმარი. თავის მხრივ საქართველოს ათასობით მშრომელი იყო საზღვარგარეთ ტურისტული საგზურით.

უცხოელ ტურისტთა მიღების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა უცხოეთის ტურიზმის სამმართველო. მისი ამოცანაა სრულიად საკავშირო სააქციო საზოგადოება „ინტურისტის“ განყოფილებათა მუშაობის ხელმძღვანელობა და კოორდინაცია, უცხოელ ტურისტთა მისაღები მატერიალური ბაზის შექმნა, ახალი ტურისტული მარშრუტებისა და ტურიზმის ახალ სახეობათა შემუშავება, სარეკლამო ლიტერატურის გამოცემა.

იმ ქვეყნების წარმომადგენლებს, სადაც ტურიზმის კულტურა ტრადიციულია, სსრ კავშირში ჩამოსვლის შემდეგ აღუნიშნავთ, რომ საბჭოთა კავშირსა და კერძოდ, საქართველოს ტურიზმის ფართო განვითარების უნიკალური შესაძლებლობანი აქვთ.

საქართველოს მრავალფეროვანი ბუნება, მისი ფიზიკურ-გეოგრაფიული და ბუნებრივ-კლიმატური მონაცემები, ისტორიული და კულტურული ძეგლები, დიდად განვითარებული ინდუსტრია და მრავალმხრივი სოფლის მეურნეობა ქმნიან შესანიშნავ პირობებს ყველა სახეობის ტურიზმის პრაქტიკული განვითარებისათვის.

ამ ბოლო წლებში სულ უფრო მეტი უცხოელი ტურისტი ჩამოდის საბჭოთა კავშირში.

სულ უფრო მეტი უცხოელი ტურისტი ჩამოდის საქართველოშიც. ამან დაგვისახა ამოცანა უზრუნველყოთ უცხოელი სტუმრების სანამუშო შეხვედრა და მომსახურება. მომდინარე ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკაში აშენდება 13 სასტუმრო, 9 მოტო-ოტელი, 4 კემპინგი, რაც საშუალებას მოგვცემს ერთდროულად მივიღოთ 8 ათასი ტურისტი, სეზონის მანძილზე კი სულ ცოტა 64 ათასი.

ამჟამად მშენებლობის სტადიაშია 7 ობიექტი, რომელთა შორის, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ სასტუმრო „ივერია“ თბილისში. მშენებლებმა მუშაობის შესანიშნავი ტემპი გვიჩვენეს და უკვე 20 სართული ააშენეს. ამ ფუნდამენტურ შენობაში, რომელიც ყურადღებას მიიპყრობს არქიტექტურით, უზრუნველყოფილი იქნება სტუმრების კომფორტი.

წარმატებით მიმდინარეობს სოხუმგუმისთის კემპინგის მშენებლობა. კარგა მიდის ჭობულეთისა და ბაკურიანის სასტუმროთა მშენებლობა. ამასთან ზოგჯერ გვხვდება ისეთი ფაქტებიც, როცა მშენებლები გველატობენ. ჭიანურდება მოტო-ოტელის მშენებლობა თბილისის ზღვის რაიონში. გაჭიანურდა სასტუმროს მშენებლობა ლენინისა და პეკინის ქუჩების გზაჯვარედინზე თბილისში.

უცხოელ ტურისტთა მისაღები მატერიალური ბაზის გაფართოება ორი მიმართულებით მიმდინარეობს: ვაშენებთ სასტუმროებს ტურიზმის ტრადიციულ ცენტრებსა და რაიონებში და ვითვისებთ დღემდე გამოუყენებელ რაიონებს, მაგალითად, ტურიზმის ცნობილ რაიონებს შავი ზღვის სანაპიროსა და თბილისს შეემატება ახალი დასასვენებელი ადგილები აჭარაში, აფხაზეთსა და კახეთში. აშენდება სასტუმროები ოჩამჩირეში, ახალ ათონში, რიწის ტბაზე, ბორჯომში, წყალტუბოში, თელავში და სხვ. აქ ტურიზმის შესანიშნავი პირობებია. მაგალითად, ჭობულეთი და ახალი ათონი სუბტროპიკების ტიპიური კურორტებია. ბაკურიანი თამამად გაუწევს მეტოქეობას საზღვარგარეთის საუკეთესო ზამთრის კურორტებს. თელავი — მადლიანი კახეთის ცენტრი — მდიდარია მრავალი ღირსშესანიშნავი ადგილით, რომლებიც უეჭველად საინტერესო იქნება ტურისტებისათვის.

რეკლამა არ დასჭირდება ახალ კურორტს — ალპურ გაგრას. მისი ღირსება ის არის, რომ გაგრის პლაჟი სამგზავრო სააგარო გზით უკავშირდება მთებს. მოგზაურობას ზღვის ნაპირიდან თოვლით დაფარულ ფერდობამდე ათი წუთიც არ დასჭირდება. აქ ტურისტები შეძლებენ რამდენიმე წუთში შეცვალონ წყლის თხილამურები მთის თხილამურებით. ეს იქნება უნიკალური კურორტი — ჯანმრთელობისა და დასვენების კერა.

ბევრი საინტერესო სიახლე მოელის უცხოელ ტურისტებს თბილისში. აშენდა საბაგირო გზა კუს ტბაზე, რომელიც უეჭველია, კარგი დასასვენებელი ადგილი იქნება ზაფხულში. გათვალისწინებულია ასეთივე გზის აშენება ლისის ტბაზე, საჰაერო-საბაგირო გზის ტრასას გაიყვანენ ყაზბეგის რაიონული ცენტრიდან ყაზბეგის მწვერვალამდე.

ტურიზმის ახალი რაიონების მშენებლობისა და ათვისების გარდა წარმოებს მუშაობა ახალი მარშრუტების შესამუშავებლად, რომლებიც საშუალებას მისცემენ უცხოელ სტუმრებს გაეცნონ საქართველოს ყველაზე დამახასიათებელ რაიონებს ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ბუნებრივი პირობების თვალსაზრისით. ამ მარშრუტების გახსნა დაკავშირებულია ახალ სახეობათა ტურიზმის ათვისებასთან. სახელდობრ ეს არის ტურისტული მოგზაურობა ცხენებით, ნადირობა და მებადურობა. ტურისტებს საშუალება ექნებათ წვიდნენ საქართველოს მთის რაიონებში, დათვალიერონ ფშავ-ხევსურეთის წარმტაცი ადგილები. მთაში ისინი იგრძნობენ ჩვენი ხალხის კეთილშობილური ხასიათის მთელ რომანტიკასა და სილამაზეს, რომელიც აგრერიგ შეხამებულია დიდებულ ბუნებასთან.

დიდი ყურადღება ექცევა ისეთი სახეობის ტურიზმის განვითარებას, როგორიცაა დასვენება და მკურნალობა. შავი ზღვის სანაპიროზე, საქართველოს მთის რაიონებში დიდებული პირობებია დასვენებისათვის, ხოლო ცნობილია, რომ ჩვენი მინერალური წყლები წარმატებით უწევენ მეტოქეობას მსოფლიოს საუკეთესო სამკურნალო წყლებს. მსოფლიო სახელი მოიხვეჭა მინერალურმა წყალმა „ბორჯომმა“, რომელიც წაგავს საფრანგეთის კურორტ ვიშის მინერალურ წყალს. სპეციალური რეკლამა არც წყალტუბოს სამკურნალო წყალს სჭირდება. ორივე კურორტში აშენდება სასტუმროები და მოტოოტელები. ისინი მიიღებენ ბევრ (სპეციალური გამოშვება) უცხოელ ტურისტს, რომლებიც სამკურნალოდ და დასასვენებლად ჩამოდიან საბჭოთა კავშირში.

საქართველო შესანიშნავი მხარეა ალპინიზმის მოყვარულთათვის. უცხოელ ტურისტთა შორის ალბათ ბევრი მოისურვებს ალპინისტურ ლაშქრობაში მონაწილეობას. კავკასიონ მთელის სტუმრებს, რომლებიც გატაცებული არიან მამაცთა ამ კეთილშობილური სპორტით.

თავის შექმნის დღიდან უცხოეთის ტურიზმის სამმართველომ კონტაქტები დაამყარა რესპუბლიკის სხვადასხვა სამინისტროსთან, უწყებასა და ორგანიზაციასთან. ეს კონტაქტები თანამშრომლობად გადაიქცა და ხელს უწყობენ მთელი რიგი საკითხების გადაჭრას. უცხოელ ტურისტთა კულტურული მომსახურების გეგმების განხორციელებას, უცხოელებზე სარეკლამო ლიტერატურის გამოცემას ჩვენ ვახორციელებთ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და მინისტრთა საბჭოს პრესის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან, მხატვართა და არქიტექტორთა შემოქმედებით კავშირებთან ერთად. ჩვენი თანამეგობრობის შედეგები მეტად ნაყოფიერი და პერსპექტიულია.

უცხოელ ტურისტთა შეხვედრისა და მომსახურების გაუმჯობესების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საქართველოს სსრ ვაჭრობისა და კომუნალური მეურნეობის სამინისტროებს.


რესპუბლიკაში უცხოეთის ტურიზმის განვითარების კვალობაზე სულ უფრო მტკიცდება კონტაქტები საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებასთან, აგრეთვე საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტთან.


საქართველოს მძლავრი ინდუსტრია, რომელიც პროდუქციას უგზავნის მსოფლიოს 60-ზე მეტ ქვეყანას, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები, შესანიშნავი ვენახები და ბაღები, სრულყოფილი მოწყობილობით აღჭურვილი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, საბინაო მშენებლობის დიდი მასშტაბი, შესაძლებლობას აძლევს უცხოელ სტუმრებს სწორი წარმოდგენა შეექმნათ დღევანდელი საქართველოს შესახებ.

ტურისტთა ოფიციალური ორგანიზაციების საერთაშორისო კავშირის გენერალურმა ასამბლეამ 1967 წელი გამოაცხადა საერთაშორისო ტურიზმის საუბილეო წელიწადად. 1967 წელს ჩვენი ქვეყანა იზეიმებს საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავს, ჩვენ შესაძლებლობა გვექნება მთელ მსოფლიოს ვუჩვენოთ ნახევარი საუკუნის მანძილზე მოპოვებული წარმატებანი. საქართველოს საზოგადოებრიობა სიხარულით შეხვდება უცხოელ სტუმრებს, დაანახვებს მათ, თუ რას მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ხალხთა ძმურ ოჯახში.

ო. ჟავთარაძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს უფროსი.

საზაფხულო დასვენების საუცხოო ადგილია მწვანე კონცხი. სურათზე: დასასვენებელი სახლი „აჭარა“.





დაბრუნება სამშობლოში

თანამედროვე ქართული პროფესიული მუსიკის წარმომადგენლებისათვის განსაკუთრებით ძვირფასია იმ ადამიანთა სახელები, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებით და უანგარო შრომით სათანადო წვლილი შეიტანეს ეროვნული მუსიკის განვითარებაში. ჩვენში მტკიცედ ცოცხლობს ისტორიის პატივისცემის ტრადიცია. ამიტომ ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსები მოწიწებით იხსენებენ ჩვენი ეროვნული მუსიკის მამამთავრებს: ზაქარია ფალიაშვილს, დიმიტრი არაყიშვილს, მელიტონ ბალანჩივაძეს, ვიქტორ დოლიძეს, ია კარგარეთელს, ფილიმონ ქორიძეს, ანდრია ყარაშვილს და სხვა. რამდენიმე წელია მათს რიგებს მიემატა კომპოზიტორი ერეკლე ჭაბადარი, რომელიც ბედის უკუღმართობის გამო დაშორდა თავის სამშობლოს, მაგრამ მისი დიდი სიყვარული, ეროვნული სული და მგზნებარება ბოლომდე შეინარჩუნა და თავის ნაწარმოებებში გამოხატა.

ა. ცამციშვილის მონოგრაფიული ნაშრომი, რომელიც ამას წინათ მკითხველებს მიაწოდა გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებამ“, ამ მეტად თავისებური მუსიკოსის ცხოვრებასა და შემოქმედებას გვაცნობს. აღნიშნული წიგნი წარმოიშვა კომპოზიტორ ერეკლე ჭაბადრის შესახებ მთელი იმ ცნობებისა და ნაწარმოებების შეკრების საფუძველზე, რომლებიც ამ რამდენიმე წლის წინათ ავტორის მიერ მოკრძალებით იქნა წარმოდგენილი ჩვენი პრესის ფურცლებზე ჯერ მოკლე ცნობების, ხოლო შემდეგ რეცენზიების სახით. ამას მოჰყვა ქართული საზოგადოებრიობის დაინტერესება კომპოზიტორის ნაწარმოებების უშუალო მოსმენით. საფრანგეთში მცხოვრები კომპოზიტორის ძმების დახმარებით, საქართველოს მუსიკალური ორგანიზაციების, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის უშუალო მხარდაჭერით თბილისელი მუსიკის მოყვარულები პირველად ისმენენ ერეკლე ჭაბადარის „ქართულ რაფსოდიას“. ასრულდა სამშობლოში დაბრუნების ნატვრით დაფერფლილი ხელოვანის სურვილი — მშობლიური კუთხე, ქართველი ხალხი ფეხზე ამდგარი მიესალმა კომპოზიტორის გულისთქმას — „ქართული რაფსოდიის“ ჰანგებს. ამას მოჰყვა საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრის მიერ ერეკლე ჭაბადარის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო - კონცერტის გამართვა, რომელზეც აუღერდა მის მიერ შექმნილ სხვადასხვა ნაწარმოებთა მელოდიები.

და აი ჩვენ ხელთ გვაქვს მონოგრაფია, რომელშიც ავტორი ყურადღებას ამახვილებს ერეკლე ჭაბადარის შემოქმედებითი ცხოვრების მნიშვნელოვან მხარეებზე. მონოგრაფიაში ჩანს ავტორის მიერ ორი მნიშვნელოვანი მომენტის ხაზგასმა: 1) უცხოეთში მცხოვრები ქართველი კომპოზიტორის — ერეკლე ჭაბადარის შემოქმედების ევოლუციის ჩვენება, მისი უცხოეთში აღიარება, როგორც ორიგინალური და თვითმყოფი შემოქმედი მუსიკოსისა და 2). თუ როგორ გაიკაფა გზა ჭაბადარის მუსიკამ მის სამშობლოში, როგორი ყურადღებით, სიმპათიითა და გულისხმიერებით მოეკიდა მისი მშობლიური ერი სამშობლოში დაბრუნების წყურვილით აღსავსე ხელოვანის შემოქმედებით მემკვიდრეობას. წიგნის მიმზიდველი მხარეა ის სიყვარული, რომლითაც გამობარია ავტორის ყოველი სტრიქონი. ეს მკითხველს ერეკლე ჭაბადარისადმი გაწყობს პატივისცემით და ამავე დროს სინანულით. ფურცლავთ წიგნს და გრძნობთ, თუ რა ტრაგიკულია იმ ხელოვანის გზა, რომელიც დაშორდება სამშობლოს.

წიგნის ავტორი მიზნად არ ისახავს ჭაბადარის შემოქმედების საფუძვლიან კვლევას, ნაწარმოებთა ყანრობრივ განსაზღვრებას, პროფესიულ ანალიზს.

იმედია, რომ კომპოზიტორ ჭაბადარის ყველა მუსიკალური ნაწარმოების სამშობლოში თავმოყრის შედეგად ქართველ პროფესიონალ მუსიკოსებს საშუალება მიეცემათ პროფესიული ანალიზისა და ღრმა კვლევის შედეგად ჭაბადარის მუსიკას მისცენ მეცნიერულად დასაბუთებული შეფასება. მაშინ ამ მონოგრაფიას გვერდს დაუმშვენებს ახალი მიზნისა და ამოცანის მატარებელი პროფესიული გამოკვლევა, რომელსაც პირობით შეიძლება დავარქვათ „კომპოზიტორი ერეკლე ჭაბადარი და ქართული მუსიკის სათავეები“.

ნანა ქავთარაძე,
მუსიკათმცოდნე.



სურათზე: კომპოზიტორი ერეკლე ჭაბადარი და მისი მეუღლე — უნგრელი მუსიკოსი მარგიტ ბარცი.

კულონარა კაციშვილი



პარიზის შთაბეჭდილებანი

მუშაობა უბნები და სასახლის ქუჩები, მბურღავები და მეთევზეები, მუშა ქალები და მათი ბავშვები, ესპანეთის მკაცრი, წარმტაცი მიდამოები მაღლობებზე სიღნაღისებური ქალაქებით, აღმართ-დაღმართ მიმავალი დატვირთული ურმები და სახედრები, ტვირთქვეშ მოყოლილი ადამიანების დაძაბული ფიგურები, — ცოცხლდებიან მხატვრის ნამუშევრებში და კინოკადრებივით მრავალფეროვან და ხელშესახებ შთაბეჭდილებას სტოვებენ.

ფელიქს ვარლამიშვილი მაყურებელს თითქოს სურათში იწვევს, ასახული სცენის მონაწილეს ხდის და მასში შესატყვის ემოციებსაც წარმოშობს.

ადამიანის ძალ-ღონის ამწონ-დამწონი სურათი, რომელზედაც ცხენების დამორჩილების თუ გახედვნის სცენა წარმოუდგენია მხატვარს (და რომელიც იმავე სერიის ნამუშევრებს მიეკუთვნება, როგორც ზემოაღნიშნული სურათი „უბეღო ცხენები“), დინამიკურია, ბუნებასთან შერწყმით აფორიაქებულიც და მაყურებელსაც დაძაბულს ხდის. გაჭირვებაში მყოფი მამაკაცის საშველად იწვევს.

და როცა ყველა ამას ეცნობით, თქვენც ამოგხდებათ გულიდან ფელიქს ვარლამიშვილის ერთ-ერთი რეცენზენტის ამოძახილი: „რა კარგია, რომ ვარლამს აბსტრაქტიულობა მიუტოვებია ასეთი ფერწერისათვის!“.

მართლაც, რა ბედნიერი უნდა იყოს მხატვარი, რომელსაც ძალა შესწევს მრავალმხრივად წარმოსახოს გარემო და განგაცდევინოთ თავისი ჩანაფიქრი. მხატვარი, რომლის ფუნჯიც არ ეურჩება ნაცად ხელს და თემატიკისა თუ კომპოზიციის სირთულეს არ გაურბის.

მაგრამ, მხატვარს სახეზე მაინც აჩნია უღიმღამო ცხოვრების ღაღი და იგი არ ჩაიწერება პარიზის „დამპყრობთა“ რიცხვში.

და ერთხელ კიდევ ვრწმუნდები, რომ თუმცა პარიზი, ერნესტ ჰემინგუეის თქმით, „დღესასწაულია, რომელიც ყოველთვის შენთან არის“, იგი არ ინდობს, ბრძოლას უცხადებს და მხარსაც უცვლის მისი ცხოვრების ორომტრიალში შემთხვევით მოხვედრილ უცხო ქვეყნის შემოქმედთ.

ფელიქს ვარლამიშვილსაც უცვალა მხარი პარიზმა. კოსმოპოლიტობაც შესთავაზა და თანამედროვე ფრანგულ მხატვრობასაც დაანათესავა.

ამიტომ, თუ ამჟამად ფრანგ მხატვრად აღიარებული „ვარლას“ ნამუშევრები მის უდავო ოსტატობას მოწმობს და ჰუმანიზმსაც მეტყველებს, ქართველი მხატვარი ფელიქს ვარლამიშვილი, რომელსაც პარიზში შეყრილ მხატვართა ზღვაშიაც თავისი საკუთარი მხატვრული ხედვა და ენა გამოუნახავს, დღეს მეტად მწვავე პრობლემის წინაშე დამდგარა, — მიეკუთვნოს დასავლეთ ევროპის თანამედროვე მხატვრობაში რამდენადმე პროგრესულად მოაზროვნე, მაგრამ კოსმოპოლიტური ასპექტით მომუშავე მხატვართა რიცხვს, თუ პატრიოტულად დაიცვას და განაგრძოს ქართული მხატვრული ტრადიციები, რათა უცხოეთშიაც ქართულად ამეტყველდეს ფელიქს ვარლამიშვილის სახელი, და მან შესაძლებლობის ფარგლებში შორიდანაც სამსახური გაუწიოს თავის ქვეყანას.

ნიშანდობლივია, რომ ქართული თემატიკა (და რაც მთავარია, ქართველი მხატვარი), ფელიქს ვარლამიშვილის შემოქმედებაში უფრო უცხოეთში ყოფნის პირველ წლებში და მეორე მსოფლიო ომის დღეებში აისახა.

საფრანგეთისათვის ამ მეტად მძიმე დროს, მხატვარი და მისი შემოქმედებაც, ისევ თავისიანებმა, — პარიზში მცხოვრებმა ქართველებმა, — შეიწყნარეს. და ისიც ბუნებრივია, რომ თავიანთი სახლის კარი მათ პირველ ყოვლისა მშობლიურ მხატვარსა და თემატიკას გაუღეს.

ქართული მხატვრული ტრადიციები რომ უცხო არ არის ფელიქს ვარლამიშვილისათვის, ამას ისიც მოწმობს, რომ ჩემს მიერ პარიზში ნანახ ნამუშევართა უმრავლესობა მხატვრის სამშობლო ქვეყნის ცხოვრების ამბებს ჰყვება და ლ. გუდიაშვილის, ვ. სიდამონ-ერისთავის, ე. ახვლედიანის მიერ მატიანედ შემონახულ ნამუშევართა მსგავსად, ისინიც მხატვრულ ასპექტში ოსტატურად აღადგენენ 1900-იან და 20-იანი წლების თბილისის ქუჩებსა თუ გარეუბნებს, იმხანად ჯერ კიდევ შემორჩენილ ეგზოტიკას და კოლორიტს.

ასეთ ნამუშევრებშიც მართლაც რომ ყველაფერი სახასიათოა და ქართულიც — წარმოსახული სცენა თუ მოტივი, პეიზაჟი, ადამიანები და მათი მოქმედებაც („მემაწვენე“, „ძველი თბილისის სურათი“, „თბილისის მისასვლელთან“ და სხვ.) და მერწმუნეთ, რომ მხატვრის შემოქმედება ამით მხოლოდ იგებს და არას ჰკარგავს.

ქართულ თემაზე დახატულ სურათთა საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს 1941 წლით დათარიღებული, შედარებით მცირე ზომის ფერწერული ტილო „სალამური“.

სურათი უპრეტენზიოა. არ გამოირჩევა ფერთა სიჭრელით და მაყურებელს ერთბაშად არ იხიბლებს თავისკენ. მაგრამ, შეხედავთ და თვალს ვერ მოაცილებთ: მისი სიმარტივე და მწყობრი კოლორიტიც გეამებათ, განწყობასაც შეგიქმნით და მხატვრის უშუალობითაც მოიხიბლებით.

ქართველი გლეხკაცის ოჯახი წარმოუდგენია მხატვარს კლდოვანი პეიზაჟის ფონზე. ჯერ კიდევ ხელთა აქვს სამუშაო იარაღი მიწის მუშას. ჯერ არ ჩაუმუხლავს და სალამურს კი უკრავს გატაცებით.

თუშური ქუდი და ქართული კაბის მსგავსი ტანსაცმელი კიდევ უფრო ამშვენებს და კეთილშობილს ხდის ფეხზე ქალამან ამოსხმული მამაკაცის მოხდენილ სხეულს, სალამურის ჰანგების მიმყოლად შემართულს.

ტკბილი ხმები იღვრება ჰაერში და ამ ჯადოსმების დაჭერას მიწაზე მოკალა-

*) დასასრული. დასაწყისი იხ. „სამშობლოს ხმა“ № 6, 7, 8, 9.

თებულ დედა-შვილთან ერთად, კლდიდან გადმოხრილი ხეც ცდილობს თითქოს.

რა ვუყოთ, რომ დუხჭირია გლეხკაცის ცხოვრება, რომ მხოლოდ შრომა და ფეხშიშველი სიარული უწერია ოჯახს! თავისუფალი ადამიანის სული მშობლიური ბუნებით გალაღებული და მშვენიერების მოტრფიალეცაა.

არ ვიცი, უნდოდა თუ არა ეს აზრი ჩაექსოვა მხატვარს თავის ნამუშევარში. მე პირველად ეს ღრმად ლირიული სურათი მხოლოდ ამრიგად აღვიქვი და მასში ფიროსმანისებური ალალი შეგრძნებაც ვიგრძენი ნატურისა და მეუცხოვა მხოლოდ, რომ სურათი პარიზის შუაგულში დამხვდა, უცხო გარემოში, სამშობლოდან მოწყვეტით.

ძნელია გადმოცემა იმ ნაცნობ საგანთა მიერ გამოწვეული განცდისა, რომლებიც თქვენი ცხოვრების ნაწილია და უცხოეთში კი გხვდებათ. მაგრამ, ალბათ მაინც წარმოიდგინეთ რა გრძნობას აღმიძრავდა პარიზში მცხოვრებ ქართველთა ერთ-ერთ ოჯახში კედელზე რელიქვიად შემონახული ირმის რქები, თუშური ქუდი, ჩოხის ნაფლეთი და ძველი თბილისის ტრადიციული ოჯახებისათვის ესოდენ დამახასიათებელი ფრონტალური პორტრეტი დედ-მამისა.

გადიდებულ ფოტოდან გაკვირვებით შემოგვყურებდნენ ფესვმაგარი კახელი გლეხიკაცი და მისი ლეჩაქიანი მეუღლე, რომელთაც არა ჰქონდათ რა საერთო პარიზთან, მის ინტერესებთან, წარსულთან და მომავალთან.

და შემეცოდნენ ალბათ უკვე დიდი ხნის გარდაცვლილი ადამიანები, რომელთა შვილიც სამუზეუმო ექსპონატებადღა ინახავს სამშობლო ქვეყნიდან გაყოლილი ცხოვრების ნამსხვრევებს.

ძალაუნებურად მახსენდება სამამულო ომის დროს საფრანგეთის მთებში მოხვედრილი ქართველი სპჭოთა პარტიზანები — საფრანგეთშიაც მამაცურად რომ იცავდნენ თავიანთ სამშობლოს — საქართველოს. აი, რას წერდა მათ შესახებ ამას წინათ გაზეთი „კომუნისტი“ — „ფერმანელების თვალსაზრისვით, ს. კობიაშვილმა ქართული სიმღერა წამოიწყო, რომელიც ბანაკში გამოიგონეს და შემდეგ კი საფრანგეთის მთებში ქართველ და ფრანგ პარტიზანთა საყვარელ სიმღერად იქცა“.

რა კარგი იქნებოდა, ქართველი მხატვრის „სალამური“ ასეთივე გაბედულად ჰფენდეს თავის ჰანგებს —ჩვენთვის უცხო მხარეს... ოგორც თავიდანვე აღვნიშნე, მიზნად არ დამისახავს საფრანგეთის, და მით უფრო, მისი მხატვრული ცხოვრების აღწერა. ცდუნება კი დიდია წერო საფრანგეთზე და მით უფრო —პარიზზე.

მაგრამ, მასზე წერა განსაკუთრებული თემაა. ამიტომაც ამჯერად ჩემს მიერ პარიზში განცდილ მოულოდნელ წუთებზე მოგახსენეთ და ამითვე დავამთავრებ.

ჩემს წინ საინტერესო ფერწერული ტილოა. ზედ მამაკაცია გამოსახული მეტად სახასიათო პროფილით. კეხიანი ცხვირი და სახის დანარჩენი ნაკვთებიც აშკარას ხდის მის სადაურობას და დავას არ იწვევს, რომ იგი უბრალო ქართველი გლეხკაცია მრავალჭირნახული და ქარტეხილიან ცხოვრებით შემჭრთალიც.

წვერ-ულვაში და თმა შეჭერცხლილი აქვს. თვალები ნაღვლიანი და მუშაობით გადაღლილი, შინაგანად კი ცხოვრებით გატანჯულიც ჩანს.

ეგებ თქვენც იცნოთ პორტრეტი, რომელსაც აქ ფოტორეპროდუქციის სამუალებით გაეცანით, ჩემს მეხსიერებაში კი საფრანგეთიდან წამოსვლის უკანასკნელი საათი აღსდგება, ის დრო, როდესაც უცხო მიწა სასტუმროსა და აეროდრომის შუალედით განიზომება და სანახავს ახალს აღარას ელი.

მაგრამ პარიზი სავსეა მოულოდნელობით და შთაბეჭდილებათა დასაგირგვინებლად შემომთავაზა ჩემს მიერ აღწერილი პორტრეტი. შევხედე, ვიცანი და გიმიძნელდა მისი სახელის ხსენება. არ მჯეროდა, რომ პარიზში ფიროსმანის სახეს ვხედავდი. სიცოცხლეში მისგან გაკეთებული ფერწერული პორტრეტის შესახებ არა მსმენია რა.

მაგრამ, პორტრეტი მირაჟი არ არის. იგი ხელთ მეპყრო და ამჟამად საკუთრებაა პარიზში მცხოვრებ ქართველ კოლექციონერისა, რომელიც მის მოკლე ისტორიასაც გვიყვებს.

ვერა ლებედევას საკუთრება ყოფილა ადრე. მხატვარი ჭაღი პარიზში გარდაცვლილა და მისი ქონება კი აუქციონზე გაუტანიათ.

რა უკუღმართია ბედი ფიროსმანისა! მისი პორტრეტიც საჯაროდ გაყიდულა.

გაძნელებულა სურათის მონახვა. მაგრამ, სიჯიუტემ და მიზანდასახულობამ თავისი გაიტანა და პორტრეტი არ მიეცა მივიწყებას...

და მე ახლაც დავცქერი ჩემს წინ მდებარე დიდ ფერად ფოტოს. დაბეჯითებით ვამთვალიერებ. შემოწმებება და გამოკვლევაც ესაჭიროება. პორტრეტზე არც მხატვრის სახელია და არც მოდელის ვინაობა.

მაგრამ არსებობს ფიროსმანის ფოტოები, ავტოპორტრეტი და ნატურიდან ჩანახატები, რომელთა მიხედვითაც თითქოს არცთუ ძნელი ხდება დადგინდეს, რომ პარიზის პორტრეტზე მართლაც ფიროსმანია გამოსახული. ხოლო ამ დებულებას მხატვრები ლადო გუდიაშვილი (რომელიც ახლოს იცნობდა ფიროსმანს), ქეთევან მაღალაშვილი



სურათზე: ქართული კულტურის ძოღვაწეები სოფ. რაძახგუელში (პროვანსი) ქერარ ფილიპის საფლავთან, მარცხნიდან, მარჯვნივ — თეატრმცოდნე ე. გუგუშვილი, მთარგმნელი, პროფესორი გ. გაჩეჩილაძე, ენათმეცნიერი, პროფესორი შ. ძიძიგური, ხელოვნებათმცოდნე გულნარა ჯაფარიძე (ავტორი სტატიისა „პარიზის შთაბეჭდილებანი“).



სურათზე: ფიროსმანის პორტრეტი.

უცნობი მხატვრის ნამუშევარი.

რომელსაც ფიროსმანი თავის დროზე მხატვართა საზოგადოების კრებაზე უნახავს) და ფიროსმანის ახლო ნაცნობები — გიორგი კოკლაშვილი და ივანე ბენდელიანიც იზიარებენ.

მაგრამ საიდან მოხვდა პორტრეტი ვერა ლებედევასთან და ვინ უნდა იყოს პორტრეტის ავტორი, ეს უფრო ძნელად გადასაწყვეტი საკითხია.

ვერა ლებედევა თბილისში 1922 წელს ჩამოვიდა და აქედანვე წავიდა საზღვარგარეთ, 1927 წელს.

მხატვარი ნაკლებად მისდევდა ფერწერას და ზეთის ფერებით ნახატი მისი პორტრეტები თუ ნატურმორტები, მის რეცენზენტთა დამოწმებით, ნაკლებად გამოირჩეოდნენ ოსტატობითა და ინდივიდუალობით.

მაგრამ, იგი კარგ გრაფიკოსად ითვლებოდა და მისი წიგნის გრაფიკა-ილუსტრაციები და პორტრეტები განსაკუთრებულ ყურადღებას და შეფასებასაც იმსახურებდნენ.

ფიროსმანისადმი ინტერესი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაცხოველდა დ.ა თუ გავითვალისწინებთ, რომ ვერა ლებედევა თბილისში ახლოს იდგა ფიროსმანით გატაცებულ ხელოვნთა თუ ლიტერატორთა წრეებთან, რომელთა პორტრეტებსაც იგი დროდადრო პრესაშიაც კი ათავსებდა (გამოქვეყნებული იყო პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, გიორგი ლეონიძის, შალვა აფხაიძის და სხვათა პორტრეტები), საგანგებო დასაშვები გახდება მხატვარი ჭალის კოლექციაში პორტრეტის მოხვედრა: აღნიშნული სერიის კიდევ ერთი პორტრეტის შესაქმნელად თუ სახალხო მხატვრისადმი გამორჩენილი განსაკუთრებული სიმპათიის მიზეზით.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ პორტრეტის ავტორი ქართველი ან თბილისელი მაინც უნდა იყოს, რადგან სურათის სტილისტურ ანალიზს გიგო გაბაშვილისა და მოსე თოიძის მხატვრული სკოლისაკენ მივყავართ.

მაგრამ, გიგო გაბაშვილს არ სწამდა ფიროსმანი და აშკარაა მისი პორტრეტის დახატვასაც უღირსად მიიჩნევდა. ხოლო თავისთავადაც კოლორიტი თუ ფურნიერული ილეთები და შესრულების მანერაც, უფრო მოსე თოიძისას უნდა უახლოვდებოდეს (გასახსენებელია მისი „ლეკი“, „ებრაელი“, „ხელოსანი“ და სხვ.).

პარიზული პორტრეტი არც ზეპირი იმპროვიზაციაა და არც ფოტოდან გაკეთებული ჩანს. მის ნატურიდან შესრულებას პორტრეტის სიცხოველე და ეტიუდური ფართო მონასმებით ნაძერწი სახის ნაკვთებიც მოწმობს და მარჯვენა ქვემოთა კუთხეში გაკრული ხელით მინაწერიც („За 2 часа“), რომელიც გვამცნობს, რომ მოდელი მხატვრის წინ სულ ორი საათი მჯდარა.

ჩანს, პარიზში ნანახი პორტრეტის ავტორი პირადად იცნობდა ფიროსმანს. ასეთ მხატვართა რიცხვს კი რომ მოსე თოიძეც მიეკუთვნებოდა, ამას წერილობითი წყაროების გარდა, ისიც მოწმობს, რომ, როგორც მხატვრის შვილები, მხატვარი ირაკლი თოიძე და ქალიშვილი ალექსანდრა თოიძე იგონებენ, ნიკო ფიროსმანიშვილი მათ ოჯახშიაც უნდა იყოს ნამყოფი დაახლოებით 1915 წ.

რაც შეეხება მოსე თოიძის დამოკიდებულებას ფიროსმანისადმი, ამაზე მისი ის საკმაოდ ვრცელი და საინტერესო წერილიც იძლევა პასუხს, რომლითაც იგი კ. ზდანევიჩის მიერ სახლში გამართულ ერთდღიან გამოფენას გამოეხმაურა (1916 წელს).

აძლევდა რა დიდ შეფასებას ნიკოს „ხალხურ შემოქმედებას“, მოსე თოიძე კიდევ აღნიშნავდა: „თუ სადმე კიდევ არის მისი ნახატები, შევკრიფოთ და მუზეუმში ვიქონიოთო“.

ზოგიერთისათვის ეს გამოფენა უღირსი და სასაცილო იყო, —აღნიშნავდა ავტორი, — ზოგმა ამგვარი ნახატების გამოფენა ხელოვნების შეურაცხყოფადაც ჩასთვალა. მაგრამ, ჩემის აზრით, ნ. ფიროსმანიშვილი ისეთი ძლიერი პიროვნებაა, ისე ძლიერად სცემს მისი გული ეროვნული თავისებურებით, რომ არათუ უნდა გვრცხვენოდეს მისი ნახატების გამოფენის, ჩემის აზრით, მასში უნდა ვეძიოთ ნიადაგი, როგორც დაუმუშავებელ ოქროს მადანშია.

თუ გვინდა, რომ ქართული მხატვრობა სრულიად არ ჩაინთქას ევროპულ ხელოვნების რეფლექსებში, არ იქცეს მხოლოდ და მხოლოდ სხვა ეროვნებათა ხელოვნების უმნიშვნელო, დაგვიანებულ მეათე და მეოცე ასლად და მით არ გაქანდეს გადაგვარების უფსკრულისაკენ, უნდა უარჰყოს პედანტური თავმოყვარეობა და სანამ ხალხს კიდევ შეუნახავს თითო-ოროლა ძლიერ პიროვნებაში თავისებური სტილი, ხასიათი, თავისებური ფორმები შემოქმედებისა, უნდა დავეწაფოთ. აქაა ჩვენი ძალა, სიცოცხლე და მის შესწავლა-ძიებაში დაკარწახებულნი უფრო დავემსგავსებით იმ დაწინაურებულ ერებს, რომელთაც მხოლოდ თავდავიწყებული ბრძოლით და შრომით მოუპოვებიათ დღევანდელი პატივი და დიდება“.

კომენტარები არ სჭირდება ამ ტექსტს. თვით პორტრეტს კი, რა თქმა უნდა, მაინც ესაჭიროება გამოკვლევა იმისა, თუ რომელ წელს და რა პირობებში შეიქმნა იგი. და მხედველობაში ეგებ ისიც არის მისაღები, რომ მხატვარ ქეთევან მაღალაშვილის დამოწმებით, პორტრეტი შექმნილი უნდა იყოს საგანგებო ზეგითა განათების მქონე ინტერიერში.

მაგრამ, წინასწარი სავარაუდო მოსაზრებებით თავს არ შეგაწყენთ. მჯერა: იმედის ნაპერწკალი გაღვივდება, სინამდვილე თავს იჩენს და გაურკვეველი ვითარებით პარიზში მოხვედრილი ფიროსმანის სახედ მიჩნეული ეს პორტრეტი თავისი ავტორის ხელმოწერასაც იპოვის...

პარიზში მცხოვრებ ქართველ მხატვრებს კი მინდა ვუსურვო: შემოქმედების ერთადერთ მასაზრდოებელ წყაროდ თავიანთი ხალხის დღევანდელი დღე, საბჭოთა საქართველოს მომავალი წარმოიდგინონ...

ჩვენს მკითხველებს

დაგეძებენ, მოგელიან



ივანე ექვთიმეს-ძე ცერცვაძეს, დაბადებულს 1905 წელს ზესტაფონში, ეძებენ შვილები — ნუნუ და შოთა ცერცვაძეები, მცხოვრებნი ზესტაფონში.

ნიკოლოზ სიმონის-ძე ფიქლაურს, დაბადებულს 1910 წელს თბილისში, ეძებს მამა — სიმონ გიორგის-ძე ფიქლაური.

ესტატე ათანასეს-ძე ჭიაბრიშვილს, დაბადებულს 1918 წელს სოფელ ხაშმში (საბარეჯოს რაიონი), ეძებს დედა — ანა დიმიტრის ასული ჭიაბრიშვილი — ბროლაშვილი.



სურათზე: ე. ა. ჭიაბრიშვილი (მარცხნივ).

ძვირფასო თანამემამულენო!

გარეკართველებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება და გაზეთი „სამშობლოს ხმა“ ყველაფერს აკეთებენ, რომ კიდევ უფრო განამტკიცოთ კავშირი საყვარელ სამშობლოსთან. კიდევ უფრო მეტად გულახდილი ურთიერთობა დაამყაროთ თქვენს ნათესავებთან და მახლობლებთან. რაც დრო გადის, ყველანი თვალნათლივ რწმუნდებით ჩვენი საზოგადოებისა და გაზეთის ამ ჭეშმარიტად მამულიშვილურ კეთილგანწყრახვაში.

ძველ ხალხს უთქვამს, დრონი მეფობნო. ეს ფრიად საგულისხმო აზრია. ცხადია, იყო დრო, როცა, სამწუხაროდ, გარეკართველთაგან ბევრს როდი ეჭირა თვალი სამშობლოსაკენ. ამ ამბავს თავისი ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა და სუბიექტურიც.

დღეს, მიწერ-მოწერაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ბევრი თქვენგანი ხშირი სტუმარია საქართველოსი, აქ მცხოვრები ნათესავებისა და მახლობლებისა. ზოგი რამდენიმე თვითაც კი ჩამოდის და, შეიძლება ითქვას, ჯერ უმადური არავინ არ წასულა, ვისაც სამშობლოს ალალი, შეუბღალავი სიყვარულით უფეთქავს გული.

მომავალში ეს კავშირი, ცხადია, კიდევ უნდა განვითარდეს. აი სწორედ ამ პატრიოტული მიზნით გადაწყვიტა ჩვენმა საზოგადოებამ უფრო მეტად ამოგიდგეთ მხარში, მეტი პრაქტიკული დახმარება აღმოგიჩინოთ სამშობლოსთან, ნათესავ-მახლობლებთან კავშირურთიერთობის საქმეში.

ბევრს ალბათ სურს სამშობლოში ყოფ მოგზაურებს, ნათესავებს ან მახლობლებს, გარდა წერილებისა, ზოგჯერ დანაზოგი ფულიც გამოუგზავნოს;

ზოგი დროებით ჩამოსვლას აპირებს საქართველოში, ზოგსაც ალბათ სამუდამოდ დაბრუნება აქვს გადაწყვეტილი: თქვენ შეგიძლიათ, რომ სამშობლოში დაბრუნებულს, აქ წინასწარ დაზოგილი ფული დაგხვდეთ.

ცოტა როდი იქნება ისეთი გარეკართველი, ვისაც სურს, როგორც ხელისმომწერმა, მიიღოს ჩვენი ქართული ჟურნალ-გაზეთები, წიგნები;

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება მოგმართავთ ყველას:

ამ კეთილშობილურ მისიას საზოგადოება თავის თავზე იღებს. თქვენ შეგიძლიათ ჩვენი საზოგადოების სახელზე (თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25) გადმოგზავნოთ რამდენიც გნებავთ ვალუტა (ფრანკი იქნება, გირვანქა სტერლინგი თუ დოლარი), თანაც საზოგადოებას უნდა შეატყობინოთ:

— როგორი ნათესავის დახმარებას გსურთ გადმოგზავნილი ფულით (ამ ნათესავის გვარის, სახელის, მამის სახელისა და მისამართის ჩვენებით).

— რომ სამშობლოში დაბრუნებულს ან სტუმრად ჩამოსვლის შემთხვევაში გინდათ აქ დანაზოგი დაგხვდეთ.

— რა წიგნი და ჟურნალ-გაზეთი გსურთ გამოიწეროთ.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება ყველაფერს შესაბამისად გაკეთებს თქვენი თხოვნის დასაკმაყოფილებლად.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი
1966 წ. ივნისი

უცხოეთის ვალუტების კურსის ბიულეტენი

ვალუტის დასახელება	კურსი მანეთობით
ავსტრალიის დოლარები 1-ში	1,00
ავსტრიის შილინგები 100-ში	3,49
ალბანეთის ლეკები 100-ში	18,00
ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დინარები 100-ში	18,23
ინგლისის გირვანქა სტერლინგები 1-ში	2,51
არგენტინის პესოები 100-ში	0,48
ავღანეთის ავღანები 100-ში	2,01
ბელგიის ფრანკები 100-ში	1,81
ბირმის კიატები 100-ში	18,89
ბულგარეთის ლევები 100-ში	76,92
უნგრეთის ფორინტები 100-ში	7,67
ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დონგები 100-ში	30,60
განის სედები 1-ში	1,05
გვინეის ფრანკები 1000-ში	3,65
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გერმანული საემისიო ბანკის მარკები 100-ში	40,50
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მარკები 100-ში	22,42
ჰოლანდიის გულდენები 100-ში	24,60
საბერძნეთის დრაქმები 100-ში	3,01
დანიის კრონები 100-ში	13,01
ეგვიპტის გირვანქები 1-ში	2,06
ისრაელის გირვანქები 100-ში	30,00
ინდოეთის რუპიები 100-ში	11,95
ინდონეზიის რუპიები (ახალი) 100-ში	9.00
ერაყის დინარები 1-ში	2,52
ირანის რიალები 100-ში	1,19
ისლანდიის კრონები 100-ში	2,09
იტალიის ლირები 1.000-ში	1.44
კამბოჯის რიელები 100-ში	2,57
კანადის დოლარები 1-ში	0,8375
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის იუანები 100-ში	45,00
კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ვონები 100-ში	74,93
კუბის პესოები 1-ში	0,90
ლიბანის გირვანქები 100-ში	29,00
ლიბიის გირვანქები 1-ში	2,51
მალის ფრანკები 1000-ში	3,65
მაროკოს დირჰამები 100-ში	17,78
მექსიკის პესოები 100-ში	7,22
მონღოლეთის ტუგრიკები 100-ში	22,50
ნეპალის რუპიები 100-ში	11,78
ახალი ზელანდიის გირვანქები 1-ში	2,50
ნორვეგიის კრონები 100-ში	12,58
პაკისტანის რუპიები 100-ში	18,89
პოლონეთის ზლოტები 100-ში	22,50
რუმინეთის ლეები 100-ში	15,00
სირიის გირვანქები 100-ში	22,48
სომალის შილინგები 100-ში	12,60
აშშ დოლარები 1-ში	0,90
სუდანის გირვანქები 1-ში	2,59
ტუნისის დინარები 1-ში	1,71
თურქეთის ლირები 100-ში	10,00
ურუგვაის პესოები 100-ში	1,34
ფინეთის მარკები 100-ში	28,13
საფრანგეთის ფრანკები 100-ში	18,37
ცეილონის რუპიები 100-ში	18,92
ჩეხოსლოვაკიის კრონები 100-ში	12,50
შვეიცის კრონები 100-ში	17,47
შვეიცარიის ფრანკები 100-ში	20,86
ეთიოპიის დოლარები 100-ში	36,00
იუგოსლავიის დინარები (ახალი) 100-ში	7,20
იაპონიის იენები 1.000-ში	2,51

სპორტული ზაფხული

მაისი ალსავსე იყო სხვადასხვა მასშტაბის ასპარეზობით როგორც ჩვენში — საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

ორი საკავშირო პირველობა, ხელბურთში და ტანვარჯიშში, თითქმის ერთდროულად მიმდინარეობდა კიევსა და მოსკოვში. თბილისის „ბურევესტნიკის“ ვაჟმა ხელბურთელებმა, მართალია, ერთი საფეხურით მაღლა აიწიეს და ვერცხლი მოიგეს, მაგრამ მაინც დასანანია, რადგან მთელი ტურნირის მანძილზე ლიდერები იყვნენ და ფინიშზე ორმა მოულოდნელმა დამარცხებამ ჩემპიონობა დააკარგვინათ.

სამაგიეროდ ტანმოვარჯიშეთა ჩემპიონატზე ალექსანდრა ჭანუყაშვილმა ისახელა თავი. იგი ოქროს მედლის მფლობელი გახდა ბჭენით ხტომებში.

და მაინც ყველაზე სასიამოვნო ცნობები პარიზიდან მოდის, სადაც ეწყობა საფრანგეთის ღია პირველობა (არაოფიციალური მსოფლიოს ჩემპიონატი) ჩოგბურთში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი 21 წლის **ალექსანდრე მეტრეველი,** რომელსაც რამდენიმე წლის წინათ უცხოელმა სპეციალისტებმა „საბჭოთა ჩოგბურთის იმედი“ უწოდეს, დღითიდღე იმაღლებს ოსტატობას. ა. მეტრეველმა წარმატებით დაიწყო მიმდინარე სეზონი, მოიგო ორი საერთაშორისო ტურნირი (კიევსა და მოსკოვში), წარმატებით გამოვიდა ალექსანდრიასა და იტალიაში. და აი ახლა საფრანგეთში ბრწყინვალე შედეგს მიაღწია როგორც პირად ასპარეზობაში, ისე ვაჟთა წყვილების პაექრობაშიც.

მსოფლიოს უძლიერეს რვა ჩოგბურთელში მოხვედრა პირველია საბჭოთა სპორტის ისტორიაში. ალექსანდრემ თანმიმდევრობით დაამარცხა ძლიერი მეტოქეები; ინგლისელი რ. ტეილორი (6:8, 6:4, 6:3, 8:6), კოლუმბიელი ვ. ალვარესი (6:0, 6:2, 6:4), ავსტრალიელი მ. მალიგანი (3:6, 6:1, 6:3, 6:3), ამერიკის პირველი ჩოგანი დ. რალსტონი (8:6, 2:6, 6:1, 6:3) და მეოთხედფინალში დამარცხდა ავსტრალიელ ე. როჩასთან (7:5, 3:6, 1:6, 5:7). გარკვეულ წარმატებას მიაღწია ა. მეტრეველ — ს. ლიხაჩოვის წყვილმა.

ორიოდე დღის წინათ ერევანში ტრეკის გახსნისადმი მიძღვნილ ველოსიპედბორბლოთა ასპარეზობაზე ბრწყინვალე შედეგს მიაღწია ქართველმა სპორტსმენმა, მსოფლიოს ჩემპიონმა **ომარ ფხაკაძემ.** ომარმა კვლავ დაამტკიცა, რომ მისი წარმატებები უკანასკნელ ხანს შემთხვევითი როდი იყო. იგი ახლა შესანიშნავ ფორმაშია და დიდი შეჯიბრებებისათვის ემზადება. მისი გამოსვლა ერევნის ტრეკზე მაღალი შედეგით აღინიშნა. გიტში 500 მეტრზე სვლით აჩვენა შედეგი 29,3 წამი, რაც მსოფლიოს ახალი რეკორდია. მეორე დღეს ომარმა თავისივე საკავშირო რეკორდი გააუმჯობესა. გიტში 200 მეტრზე სვლით 11,2 წამი აჩვენა.

რასაკვირველია, ფეხბურთზეც ვისაუბრებდით, მაგრამ სჯობს შემდეგი ნომრისათვის გადავდოთ ეს, რადგან სალაპარაკო ბევრია. თანაც ამ დღეებში მოსკოვში საფრანგეთისა და სსრ კავშირის ეროვნული გუნდები შეხვდებიან ერთმანეთს. გაიმართება მატჩები საკავშირო პირველობაზე და ამდენად უფრო საინტერესოც იქნება ჩვენი საუბარი. მაშ ასე, მეგობრებო, მომავალ ნომერში დღის წესრიგში ფეხბურთი იქნება.

ო. ლორთქიფანიძე.



გოვსჯირნეთ საქართველოს

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ვისაუბრებთ:

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.